

**ფოტო თვალით**

ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინი". აქ ჩატარდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 120 უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი.

* * *

სურათზე: ასპარეზობის პრიზიორები. ცენტრში — აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ოვჩინიკოვა (რსფსრ), მარცხნივ — ლ. სერედა-პარადიევა (უკრაინა), მარჯვნივ — ა. ნაზმუტდინოვა (რსფსრ), რომელმაც III ადგილი დაიკავა.

ფოტო ა. ნაუმენკოვისა (საქდესი).



მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლე.

სურათზე: საპატიო კვარცხლბეკზე არიან ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდების კაპიტნები (მარცხნიდან)—ვ. დავიდოვი („დინამო") — III ადგილი, ა. ფირსოვი (ცსკა) — I ადგილი და ვ. სტარშინოვი („სპარტაკი") — II ადგილი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საქდესი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 89 (3573)

8 მაისი, ოთხშაბათი. 1968 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


## სპორტული ჟურნალისტების ფორუმი

ბუქარესტი. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის აქ გამართულ ტრადიციულ კონგრესზე 32 ქვეყნის ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. მსჯელობდნენ მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების გაშუქების საკითხზე: მომავალი ოლიმპიადის „მემატიანეთა" მუშაობის პირობებზე ილაპარაკეს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ა. ორტეგამ, პრესის განყოფილების გამგემ რ. სოლანამ, ოლიმპიადაზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის განყოფილებათა მუშაობის გენერალურმა კოორდინატორმა რ. კუერვომ.

ასოციაცია იზრდება. ახლანდელ, 32-ე კონგრესზე მას შეემატნენ კონგოს (კინშასის), გვატემალის, ინდონეზიის, ლიბანის, მალის, პანამისა და პერუს სპორტული ჟურნალისტები. ტრადიციისამებრ, ჯილდო მიეკუთვნა კომიტეტს, რომლის ორგანიზებული ღონისძიებაც ყველაზე უკეთ ემსახურებოდა სპორტული პრესის ინტერესებს. 1967 წელს ასეთ ღონისძიებად ჰოკეისტთა ვენის ჩემპიონატი აღიარეს.

ვენა რომ დააჯილდოვეს, კონგრესის მონაწილეებმა აღნიშნეს ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალის (ლისაბონი), საფეხბურთო ასოციაციათა ევროპული კავშირის იუნიორთა ჩემპიონატის (სტამბოლი) და მშვიდობის ველორბოლის (ბერლინი, ვარშავა, პრაღა) ორგანიზატორთა დამსახურებაც.

კონგრესმა აირჩია ასოციაციის ახალი აღმასრულებელი კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ფ. ლევიტანი (საფრანგეთი) — პრეზიდენტი, პ. სობოლევი (სსრ კავშირი, ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" მთავარი რედაქტორი) — პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ს. პეგბლომი (ფინეთი), ი. შტრაბლი (ავსტრია), ი. კოტაარი (ჰოლანდია), ს. გ. რუზი (მექსიკა) — ვიცე-პრეზიდენტები, ა. ერბო (ბელგია) და ი. სამბატი (უნგრეთი) — გენერალური მდივანი და მისი მოადგილე.

## მეხიკოს ოლიმპიური რიტმი

მეხიკო, 7 მაისი. „მიუხედავად იმ დაძაბულობისა, რაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის „მოწვევის" გამო შეიქმნა, ტემპი სპორტულ ნაგებობათა და კომპლექსების მშენებლობისა, სადაც XIX ოლიმპიური თამაშების ბატალიები უნდა ჩატარდეს, არ შენელებულა", — განაცხადა მექსიკის სახოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა, ინჟინერმა ზ. ვალენსუელამ.

სპორტის სასახლეში, სადაც კალათბურთელთა ასპარეზობა გაიმართება, თითქმის დამთავრდა ლითონის კონსტრუქციების აღმართვა. უკვე მზადაა სასახლის სფერული ჭერის ორი მესამედი. როცა რადიოსპეციალისტები და ელექტრიკოსებიც დაამთავრებენ მუშაობას, დაიწყება სავარძლების დადგმა 25 ათასი მაყურებლისთვის. აგვისტოში სასახლე მწყობრში ჩადგება.

თითქმის მზადაა ოლიმპიური აუზი და ტანვარჯიშული დარბაზიც, მძლეოსნური ცენტრის — ოლიმპიური სტადიონის დამხმარე ობიექტები, ახლა განათების სამუშაოებს ამთავრებენ. სპეციალისტი ელექტრიკოსები დასტრიალებენ სინათლის ტაბლოს, რომელიც მაყურებელს სხვადასხვა გამარჯვებისა თუ დამარცხების ამბავს ამცნობს.

ყველა ობიექტზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი არ შეიძლება განსაკუთრებით არ მოვიხსენიოთ. ეს ოლიმპიური სოფელი გახლავთ. თამაშები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ამ ყველაზე თანამედროვე სოფელში ბინები უკვე იყიდება. ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მასივი, რომელშიც 29 ექვს და ცხრასართულიანი შენობა შედის, მეხიკოს ახალ საცხოვრებელ რაიონად იქცევა. სოფელი ჯერ საბოლოოდ მზად არაა, მაგრამ ყველა სამუშაო გრაფიკის შესაბამისად შესრულდება.

— მექსიკა ღირსეულად შეასრულებს აღებულ ვალდებულებას — თავის დროზე და საიმედოდ ააგებს სპორტულ კომპლექსებს, რომლებიც ოლიმპიური თამაშების შემდეგ მექსიკელი ახალგაზრდობის ფიზიკური, კულტურული და მორალური განვითარების სამსახურში ჩადგებიან, — ამბობს მინისტრი.

(საქდესი).

## კლეის აპელაცია უარყვეს

ნიუ-იორკი, 7 მაისი. გუშინ ახალ ორლეანში (ლუიზიანას შტატი) ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ უარყო პროფესიულ კრივში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის კასიუს კლეის — მოჰამედ ალის თხოვნა მისი საქმის გადასინჯვის თაობაზე.

ერთი წლის წინ კლეი სამხედრო ვალდებულების დარღვევაში დაადანაშაულეს. ჩემპიონს ხუთი წლით პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა მიესაჯა. პროფესიული კრივის მსოფლიო ასოციაციამ კი აშშ-ს მილიტარისტულ წრეებს აამა და ნიგერ მოკრივეს ჩემპიონის წოდება ჩამოართვა.

კასიუს კლეიმ უარი თქვა აშშ-ს არმიაში სამსახურზე, რადგან არ სურდა მონაწილეობა მიეღო ვიეტნამის უდანაშაულო ხალხის მოსპობაში.

კლეის დამცველები ფედერალურ სასამართლო ორგანოებში ახალი აპელაციების წარდგენას აპირებენ. მაგრამ გუშინდელი გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ციხე არ ასცდება.

## ტალი — გლიგორიჩი

ბელგრადი, 7 მაისი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილეებმა — მ. ტალმა და ს. გლიგორიჩმა გუშინ ორთაბრძოლის VII პარტია ითამაშეს. პარტიამ მთელი საღამო გასტანა და 41-ე სვლაზე გადაიდო. ტალს ზედმეტი პაიკი აქვს, ხოლო გლიგორიჩს — ყაიმის შანსები. მატჩის ანგარიში (3:3) უცვლელი დარჩა.

## ლარსენი — პორტიში

გუშინ პორეჩში (იუგოსლავია) დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი ბ. ლარსენსა (დანია) და ლ. პორტიშს (უნგრეთი) შორის. მეტოქეთა პირველი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

## კორჩნოი — რეშევსკი

დღეს ამსტერდამში იხსნება პრეტენდენტთა ბოლო მეოთხედფინალური მატჩი: ვ. კორჩნოი (სსრკ) — ს. რეშევსკი (აშშ). დიდოსტატები 10 პარტიას გაითამაშებენ. გამარჯვებული ნახევარფინალურ მატჩში შეხვდება ტალ — გლიგორიჩის ორთაბრძოლაში გამარჯვებულს.

საბჭოთა დიდოსტატს მწვრთნელად ახლავს ს. ფურმანი, ამერიკელს კი — პ. ბენკო.

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### დიად თარიღებს უძღვნეს

დუდინკა, 7 მაისი. ტაიმირის შორეულ დასახლებაში (ხანტაის ტბა) გამოჩნდნენ მოულოდნელი სტუმრები — მოთხილამურეები, რომლებმაც უძნელესი გადასვლა მოაწყვეს იმიერპოლარეთის ნათხილამურევზე. ნორილსკიდან ჩამოვიდნენ იმიერპოლარეთის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ახალგაზრდა მუშები. მათ ტუნდრაში 300 კილომეტრი გაიარეს.

ნორილსკელებს შეხვდნენ ნოვოსიბირსკელი სპორტსმენები, რომელთაც უჩვეულოდ საინტერესო და ძნელი გადასვლა განახორციელეს — კეტას ტბიდან პუტორანის მთებში.

ეს ღონისძიება ნორილსკელებმა და ნოვოსიბირსკელებმა კომკავშირის 50 წლისთავს და გამარჯვების დღეს მიუძღვნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხმაურებით წერილს — „უსწავლელები“

# შემოთავაზებული საუბარი

„ლელოს“ 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტადან“ გადმობეჭდილი წერილი „უსწავლელები“. ავტორი, მოსკოველი მასწავლებელი ფ. პოდბერიოზსკაია ძალზე შეშფოთებულია, „ლელომ“ კი მისი წამოჭრილი საკითხის გამო გულახდილი საუბრისკენ მოგვიწოდა. რათა უფრო თვალნათლივი იყოს მასწავლებლის შეშფოთებისა და ჩვენი სპორტული გაზეთის დაინტერესების მიზეზი, გავიხსენოთ პოდბერიოზსკაიას წერილის ბოლო სიტყვები: „ეს უმნიშვნელო საკითხი არ გახლავთ. ჩვენს ქვეყანაში ყველა ახალგაზრდას როდი აქვს საშუალო განათლების ატესტატი და ამ „უსწავლელთა“ შორის აი, ასეთი სპორტსმენი თუ თვითმოქმედი მსახიობი ცოტა არ არის“.

დავეთანხმოთ მას უმთავრეს საკითხში. ჩვენ ვალდებული ვართ განათლება მივცეთ ჩვენს შვილებს. ეს საზოგადოებრიობის ცენტრალური ამოცანაა ახალგაზრდა თაობის აღზრდის ფრონტზე. აქ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. და თუ ბავშვს რაიმე გატაცება ბრმა ვნებად ექცევა, თუ იგი ამ გატაცების გამო სწავლაზე გულს აიყრის და ზოგჯერ სულაც მიატოვებს სკოლას — ამის მოთმენა არ შეიძლება. ასეთ მოვლენებსა და მოვლენათა გამომწვევ მიზეზებს თავგამოდებით უნდა ვებრძოდეთ.

სკოლისა და სპორტის ურთიერთობის საქმე ჩვენში, რბილად რომ ვთქვათ, მართლაც როდია მთლად წესრიგზე. სპორტს არ შეუძლია და არც უნდა იყოს უშუალო თუ არაუშუალო დამნაშავე უსწავლელთა და უმწიფართა მომრავლებისა. ოღონდ, ჩვენი აზრით, ფ. პოდბერიოზსკაიას ერთი შეცდომა მოსდის: მთავარ ბოროტებად ის მიაჩნია, რომ ბავშვები სპორტის სიყვარულით დროზე ადრე ტოვებენ სკოლას და უატესტატოდ რჩებიან. სწორედ ეს არაა ტიპიური. სპორტი ჩვენს ბავშვებს სკოლის გზიდან არ აცდენს. პირიქით, — ავალებს სწავლას, კლასიდან კლასში წარმატებით გადასვლას და ატესტატის მიღებას. შემთხვევითი როდია, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული და უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი ნიჭიერ სპორტსმენთა შორის გაცილებით მეტია. ერთი სიტყვით, ჩვენს პირობებში სპორტი კი არ აშორებს, არამედ უკავშირებს სკოლას ბავშვის ცხოვრებას.

რატომ? პირველ ყოვლისა თუნდაც იმიტომ, რომ თავად სკოლები ძალიან დაინტერესებული არიან კარგი სპორტსმენების ყოლით. ვინაიდან მათ უდიდეს მოთხოვნებს უყენებენ სპორტულ მუშაობაში. ფიზკულტურული ორგანიზაციები კიდევ უფრო არიან დაინტერესებული, რომ ნორჩი სპორტსმენები მოსწავლეები იყვნენ. სასკოლო ასაკის ბავშვი, თუ იგი არ სწავლობს ან ცუდად სწავლობს, ჩვეულებრივ, შეჯიბრებაში არ დაიშვება. სწორედ ამავე მიზეზით სკოლის დატოვება არც ერთ ზარმაცსაც კი არ უნდა. სხვათა შორის, ფ. პოდბერიოზსკაიამ ალბათ არ იცის, რომ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების წესდება მოთამაშეებს სწავლას ავალდებულებს. იგი არ იძლევა უფლებას, რომ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სწავლამიტოვებულები, თანამედროვე მიტროფანუშკები. ეს წესი ვრცელდება დუბლიორებზეც, რომლებზეც იგი წერს.

მაშ ასე, გარემოებათა გამო სასკოლო და სპორტული ორგანიზაციები უაღრესად დაინტერესებული არიან, რომ სპორტული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდნენ. რაკი ასეა, იმასაც ეცდებიან, რომ ბავშვმა სასწავლებელი არ მიატოვოს. ეცდებიან სხვადასხვა ხერხით, სხვადასხვა გზით — ჩამორჩენილებისთვის დახმარების გაწევით, სათანადო პირობების შექმნით, რომ ბავშვმა სპორტის გამო გაცდენილი დრო აინაზღაუროს, რომ ნიჭიერ ნორჩ სპორტსმენს სწავლაში წარმატების საშუალებაც მიეცეს. მაგრამ „პირობები“ მერყევი ცნებაა. **ზოგჯერ ხდება, რომ ზოგიერთ მოსწავლეს წარმატებით სწავლის კი არა, ნამდვილი უსაქმურობის პირობებს უქმნიან.**

საზოგადოების ინტერესებისთვის, ბავშვების კარგი მომავლის უზრუნველყოფისთვის მთავრობამ ნორჩ სპორტსმენებს ვალდებულებად დაუსახა აუცილებელი სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო გეგმით. იგი მტკიცედ იცავს სასკოლო განათლებას მათგან, ვისაც ჰგონია, რომ სპორტის ოსტატს სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, სულაც არ ევალება წერა-კითხვის მცოდნე იყოს. დაინერგა პრაქტიკა, რომელიც საერთოდ არ უშვებს ამ დილემის შექმნის შესაძლებლობას: ან განათლება, ან სპორტი.

ამ ვითარებაში ჩვენი სპორტული თაობა არ შეიძლება ზოგადსაგანმანათლებლო ცენზის გარეშე ან, როგორც პოდბერიოზსკაია წერს, უატესტატოდ დარჩეს. უფრო სწორად, გარდუვალია მეორე: დიდი სპორტი კარგავს ნიჭიერი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, სწორედ მათგან, ვინც სწავლაში ჩამორჩება ან საერთოდ მიატოვა სკოლა. მართლაც სპორტმა არ შეიძლება არ იზარალოს იმ მოთხოვნების გამო, რასაც სასკოლო ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს სწავლის საკითხში ვუყენებთ. ხომ აშკარად გამორიცხულია, რომ ყველა ნიჭიერი სპორტსმენი აუცილებლად ნიჭიერი მოსწავლეც იყოს.

როგორც ჩანს, არსებობს მოსწავლეთა რამდენიმე კატეგორია, რომელთაც სკოლასთან კონფლიქტი ავტომატურად დაატოვებინებს დიდ სპორტსაც. ზოგი საერთოდ არ სწავლობს, ზოგს ნიჭი, შრომისმოყვარეობა არ ჰყოფნის სკოლაში წარმატებისთვის. ყველა ესენი, რაც უნდა დიდი სპორტული ნიჭიერებით იყვნენ დაჯილდოებულნი, თითქოს განწირული არიან, რომ მიუხედავად მათი სურვილისა, დიდ სპორტს გამოეთიშონ. ამასთან, ხომ არიან ისეთებიც, თავისი სურვილით რომ იტყვიან უარს სპორტულ კარიერაზე, რადგან იგი მეტისმეტად დიდ დროს, ენერგიას, ინტერესს მოითხოვს. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველივე ამასთან საჭიროა სასკოლო საგნების წარმატებით შესწავლაც. და აი, ისინი სპორტს სწირავენ სკოლისთვის. ერთი სიტყვით, ხომ არ შეიძლება, რომ განათლების დასაცავად აღმართულმა ზღუდემ სულ არავის გადაულობოს დიდი სპორტის გზა, ესე იგი, ამ უკანასკნელისთვის რაიმე დანაკარგის სახით არ გამოიხატოს?

ეს, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ იდეაა. სინამდვილეში კი როგორდაა საქმე? სინამდვილეში ეს ზღუდე ვერავითარ ზიანს ვერ აყენებს დიდ სპორტს. **სანთლით ვერ იპოვნი მოსწავლეს, რომელსაც ცუდი სწავლისთვის ან სკოლის მიტოვებისთვის სპორტში გზა ჩაკეტოდეს.** დიდ სპორტში ხვდება ყველა, ვინც მისთვის საჭიროა.

აქ ორში ერთია: დიდი სპორტი ან მართლაც არ უშლის ხელს სასკოლო სწავლებას, ხოლო ყველა სპორტსმენი მეცნიერების წყურვილით შეპყრობილი და ნიჭიერებით მადლცხებულია, ან ზღუდე მიზანს ვერ აღწევს და მას რაღაცნაირად გვერდს უვლიან.

პირველი აშკარად გამორიცხულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიდოდით იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები სანიმუშო მოსწავლეებიც არიან ბუნებით. ეს კი ისეთივე უაზრობაა, როგორც ამის საპირისპირო დასკვნა. ბავშვები მუდამ ბავშვები არიან. სპორტსმენებში, ყველა ბავშვის მსგავსად, არიან ცუდი მოსწავლეებიცა და კარგებიც, ნიჭიერებიცა და მუყაითებიც, არიან საშუალო მოსწავლეები, არიან სულ უტვინოები და ზარმაცებიც. შეიძლება დავასახელოთ ჩინებული სპორტსმენები, რომლებიც არა თუ სკოლაში კარგად სწავლობდნენ, არამედ ცნობილი სპეციალისტებიც გახდნენ — ხელოვნების ოსტატები, მეცნიერები, აკადემიკოსებიც კი. მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი როდია სხვაგვარი მაგალითებიც, რომელთა წყალობითაც დასაბამი მიეცა სპორტსმენისა და ლენჩი მოწაფის გათანაბრების ობივატელურ ტრადიციას. შეუძლებელია, რომ კარგ სპორტსმენებში ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე მაინც არ იყოს. ეს შეუძლებელია მით უმეტეს, რომ კარგ სპორტსმენს სწავლა გაცილებით უფრო უძნელდება. მან ორ საქმეს უნდა გაუნაწილოს დრო. სპორტსმენთა წარმატება სწავლაში მხოლოდ მეორე ვარაუდით უნდა აიხსნას: ზოგჯერ ეს წარმატება ხელოვნურია და „ზღუდე“ არ იძლევა სასკოლო ცოდნის შესაფერისად ათვისების გარანტიას. რაკი ჩამორჩენილ მოსწავლეს სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება არ ეძლევა, გამოსავალს სულ იოლად აგნებენ: ცდილობენ ბავშვები სკოლას არ მოსწყვიტონ, „წარმატებით“ სწავლაში ეხმარებიან მათ და თუ საჭიროა, შეჯიბრებაზე არარსებულ ნიშნებსაც წარმოადგენენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენი ასე როდი „სწავლობს“, მაგრამ ცრუმოსწავლეებიც მრავლად იყრიან თავს. ფიქტიური სწავლის ეს ტრადიცია სწრაფად ვრცელდება მართლაც ნიჭიერ სპორტსმენებზე, ყველაზე, ვინც სარბიელზე გამოსაყვანად სჭირდება ქალაქს, რაიონს, თავად სკოლასაც კი.

და აი, თავისთავად ხდება, რომ საშუალო განათლების გარეშე დარჩენილი სპორტსმენების მცირერიცხოვანი ჯგუფი არარაფერი ჩანს მოსწავლეთა ძალიან დიდი რიცხვის პრივილეგიასთან შედარებით, იმ სპორტსმენების რიცხვთან შედარებით, სკოლაში რომ „სწავლობენ“, ატესტატს იღებენ და უცოდინარები კი რჩებიან. ამას სამმაგი ზიანი მოაქვს. მრავლდებიან ცრუგანათლებულები, ილახება სასკოლო განათლების წმიდა პრინციპები და „იოლი“ ცხოვრების პირველივე შესაძლებლობით ირყვნება ბავშვების შეგნება.

მოსწავლე სპორტსმენთა ასეთი პრივილეგიის მავნე პრაქტიკა ფართოდაა ცნობილი. მაგალითების მოძებნაში მკითხველს, ვფიქრობთ, არ დასჭირდება ჩვენი დახმარება, მაგრამ მაინც გვინდა ერთი-ორი შესატყვისი შემთხვევა მოვიგონოთ.

პირველი. ორი ცნობილი სპორტსმენი საკუთარი „ვოლგებით“ მიადგა სკოლას გამოცდების ექსტერნად ჩასაბარებლად. შესაბამისი მითითება მიღებული იყო. დირექტორმა მოწყალედ მოღიმარი ვარსკვლავები მოწიწებით ჩაატარა აღტაცებულ მოსწავლეთა რიგებს შუა და მათთვის გამოყოფილ კლასში შეუძღვა. წინასწარ ცნობილი იყო, რომ ჩვენი გამოსაცდელები მათემატიკაზე, ფიზიკაზე და ქიმიაზე მწყრალად გახლდნენ. ამიტომ გადაწყდა გეოგრაფია და რუსული ეკმარათ. გეოგრაფიის მასწავლებელმა ქალმა ერთ-ერთ მათგანს, სხვათა შორის, კრასნოდარის მხარის მკვიდრს, რუკაზე ჩრდილოეთ კავკასიის ჩვენება სთხოვა. ვარსკვლავმა, რაკი „ჩრდილოეთს“ მოჰკრა ყური, ჯოხი სადღაც ტუნდრისკენ გაიშვირა. შეცბუნებულმა მასწავლებელმა სწრაფად შეცვალა თემა, სპორტსმენს საზღვარგარეთული შთაბეჭდილებები აამბობინა და ამას დასჭერდა. რუსულში თავიდან უფრო გაჭირდა საქმე. გამომცდელი „აჯანყდა“ და დირექტორთან გავარდა: წერა არ იციანო. მაგრამ მერე მიხვდა, რას სთხოვდნენ და ხმა გაკმინდა. ერთი სიტყვით, ჩვენმა გმირებმა თავისი გაიხადეს და საზეიმოდ დატოვეს იქაურობა. მაგრამ როგორ შეილახა სკოლის ავტორიტეტი, რა შურისა და აღტაცების საგნად იქცა ატესტატის მიღების ეს ხერხი, რა ცუდი კვალი დატოვა ამან „გამოცდების“ მოწმე ბავშვების სულში!

მეორე შემთხვევა. არა აქვს მნიშვნელობა სად და როდის მოხდა ეს ამბავი, რადგან იგი არც პირველი იყო, არც უკანასკნელი.

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე. სკოლაში საზეიმო განწყობილებაა — მე კი უცებ ეზოში ჩემს ნაცნობ მეათეკლასელს ვხვდავ. კარგი მოსწავლეა და გამიკვირდა:

— სევა! შენ რატომ არა ხარ გამოცდებზე?

— გამათავისუფლეს, როგორც სპორტსმენი.

— აქ რას აკეთებ?

— ისე, გულშემატკივარი ვარ.

— კი მაგრამ, რატომ გაგათავისუფლეს, არც სწავლა გიჭირდა და გეტყობა, დროც გქონია.

— დიდი ამბავი, თუ მქონია. ეს ჩემი უფლებაა, — სხვები იტანჯებიან, მე არა!

აბა, ყურადღება მიაქციეთ: უფლებაო! რა არის ამ „უფლების“ მთავარი დანიშნულება, ფორმალურად სწავლა და სასკოლო განათლების საფუძვლების დარღვევა? იქნებ ეს იმითაა გამოწვეული, რომ სპორტულ სარბიელზე და სკოლაში თანაბარი წარმატება მართლა შეუძლებელია? არადა, ათასობით ბავშვი სწავლობს სპეციალურ სპორტულ სკოლებში ისე, რომ არავითარ მოწყალებას, არავითარ თავზე ხელის გადასმას არ მოითხოვს. ბევრი კარგი სპორტსმენი სკოლას მედლით ამთავრებს.

როგორც ჩანს, ეს არ ყოფილა მთავარი მიზეზი. ეს შეღავათები მხოლოდ საცდურია, მხოლოდ „მიტყუების“ მიზნითაა საჭირო.

კაცმა რომ თქვას, ამას არც მალავენ. ამბობენ, თუ რაღაც შეღავათით არ დავაინტერესეთ, სპორტს არც ერთი ბავშვი არ მიეკარებაო, სპორტი წარმატებით აღარ განვითარდებაო. სისულელეა. ბავშვის მიტყუება ფიქტიური სწავლისა და ატესტატის იოლი გზით მოპოვების „უფლებით“ თვით მოზარდის, მთელი საზოგადოების სულიერი გაძარცვაა, დანაშაულია. მიიზიდეთ ბავშვები სპორტში როგორც გნებავთ, ოღონდ ამ გზით არა. აქ არავითარი შეღავათი არ შეიძლება არსებობდეს. ცოდნა არა გაქვს, ნიშანს ვერ მიიღებ, უცოდინარს ატესტატს არ მოგცემენ! — აი, მხოლოდ ასე უნდა ხდებოდეს და არა სხვაგვარად. ამას, პირველ ყოვლისა, თავად ბავშვების ინტერესები მოითხოვს.

კარგი, მაგრამ როგორ დავიცვათ მათი ინტერესები იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა სპორტში ვარჯიში სრულიად შეუთავსებელია სკოლაში ნორმალურ მეცადინეობასთან? ავიღოთ, მაგალითად, ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ხანგრძლივი მოსამზადებელი და თამაშისწინა შეკრებები, შეჯიბრებების გამო ზოგჯერ თითქმის მთელი წლის მანძილზე გაჭიანურებული მოგზაურობა, ყოველდღიური წვრთნა და უმეტესად სასკოლო მეცადინეობის საათებში.

ყოველივე ამის გამო თითქმის შეუძლებელია, რომ ფეხბურთელმა ბეჯითად იაროს სკოლაში, იმეცადინოს. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში საქმეს ძალიან შეზღუდულად, გამორჩევით უნდა მოვეკიდოთ, მოსწავლეს სწავლის დამთავრების საშუალება მივცეთ. თუ სხვა გამოსავალი არ არის, თუ უთუოდ უნდა მოვწყვიტოთ სკოლას, მაშინ ბავშვს რეპეტიტორი დავუქირავოთ ან სხვა გზა გამოვნახოთ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვიკისროთ პასუხისმგებლობა, რომ იგი დამოუკიდებლად გაივლის სასკოლო კურსს.

... ფ. პოდბერიოზსკაია იძლევა შეკითხვას — „რომელი კლასიდან გამოვიდა ფეხბურთელი ვალოდია?“ ტყუილად შეშფოთებულა მასწავლებელი. ვალოდია სკოლიდან არსად წასულა, მხოლოდ ცუდი ნიშნებისგან, სასწავლო საგნების სწავლისგან დაიფარეს.

იგი ბოლომდე უვიცი დარჩა, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის გვირგვინად თითქოს ლანგრით მიართვეს სასურველი მოწმობა: სიმწიფის ატესტატი. გასაკვირი როდია მისი თვითკმაყოფილი ღიმილი, ვალოდიას უშრომლად ხვდა საპატიო საბუთი, რომელიც მის ტოლებს ათი წლის გულმოდგინე სწავლად დაუჯდათ.

გაცილებით ნაკლები დანაშაული იქნებოდა, ვალოდიას ატესტატი სულაც რომ არ მიეღო.

ვ. მდივანი.

## [illegible]

### ◆ სოხუმი

დამთავრდა აფხაზეთის ნორჩ მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც ყველა რაიონის გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა გულრიფშის რაიონის ნაკრებმა. ყველაზე კარგად ითამაშეს: ბიჭებში — ა. დავთიანმა (6,5 ქულა 7-დან), გოგონებში — ს. გრიგორიანმა (6 ქულა).

ზ. ჯალაღონია.

### ◆ რუსთავი

ჩატარდა ქალაქის სკოლების ჩემპიონატები მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში 18 სკოლა მონაწილეობდა. გაიმარჯვა მე-6 სკოლის გუნდმა. ჭადრაკში პირველი ადგილები ასე განაწილდა: I. მე-15, II — მე-17, III — 1-ლი სკოლა.

ი. მუმლაძე.

### ◆ ტყიბული

ტრადიციად იქცა წვევამდელთა ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ფრენბურთელთა ამგვარი ასპარეზობა ამას წინათ გაიმართა. გუნდები სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ საწარმო-დაწესებულებების, მეორეში — ქალაქის სკოლების, ხოლო მესამეში — სასოფლო საბჭოების კოლექტივები. შესაბამისად გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ორჯონიკიძის სახელობის შახტის, მე-3 საშუალო სკოლისა და კურსების სასოფლო საბჭოს გუნდები.

ზ. ჯორჯაძე.

### ◆ ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნალური განყოფილების პედაგოგ-ორგანიზატორმა დ. ლეჟავამ და ბავშვთა სექტორის გამგემ ი. ქლიბაძემ მოაწყვეს ლაშქრობა მაიაკოვსკსა და საირმეში, რომელიც კომკავშირის დაარსების 50 წლისთავს მიუძღვნეს. ნორჩმა ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი და კურორტი საირმე. მაიაკოვსკის ბავშვთა სპორტსკოლის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებთან შეხვედრებში გაიმარჯვეს სტუმრებმა. მასპინძლებმა მხოლოდ კალათბურთელ ჭაბუკთა გუნდების პაექრობაში იმარჯვეს.

ა. განუგრავა.

### ◆ წითელწყარო

კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა ალკკ წითელწყაროს რაიკომისა და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში თამაშობდნენ სოფლების — ჯაფარიძისა და ზემო ქედის კოლმეურნეობათა გუნდები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ჯაფარიძელმა ფეხბურთელებმა.

პ. პატარიშვილი.

## რატომ არ შეიძლება?

ფ. პოდბერიოზსკაიას წერილში წამოჭრილი საკითხი რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვფიქრობთ, ამაზე სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს.

საკითხავი ისაა, რატომ არ ხერხდება სწავლისა და სპორტის ისე შეთავსება, რომ გულნაკლული არც ერთი მხარე არ დარჩეს? რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, საწვრთნელი მეცადინეობა დავგეგმოთ ისე, რომ მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებაში ხელი არ შეეშალოს? ამისთვის ხომ ძალიან მოხერხებულია შაბათი, კვირა. შეჯიბრებები კი არდადეგების პერიოდში ჩავატაროთ.

სხვათა შორის, სკოლას სპორტული შეჯიბრებების გარდა მძიმე ტვირთად აწევს მოსწავლეთა გაჭიანურებული მზადება სხვადასხვა პიონერული და კომკავშირული დღესასწაულის შესახვედრად. ყველა მოწმეა, რაოდენ დიდი დრო მიაქვს მოსწავლეთა დაუსრულებელ სამწყობრო მზადებას, სიარულში ვარჯიშს, მაგალითად, სანაპიროზე. ვისთვის და რისთვისაა საჭირო ეს?

ჩვენს რესპუბლიკაში ჩინებული შესაძლებლობაა ნორჩ სპორტსმენთა აღზრდისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი რად ღირს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ ჩვენი აზრით, მსჯელობის საგნად უნდა იქცეს ამ სკოლა-ინტერნატის დაკომპლექტების საკითხიც. აქ უმეტესობა სკოლების საგზურებითა და რეკომენდაციით უნდა ჩაირიცხოს. ამ გზით ინტერნატებში მოხვდებიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც სკოლაშივე გამოირჩევიან სპორტული მონაცემებით და ამასთან, კარგი სწავლით. მიმღებ კომისიაში სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც უნდა შედიოდნენ.

ა. სოსელია,
მასწავლებელი.

ჩემპიონატი
საქართველო
-68

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „სულორი" (ვანი) 2:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

ვანელებმა კარგად დაიწყეს თამაში. გარკვეული ხნის განმავლობაში მათ ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა: 21-ე წუთზე „კოლხეთმა" კონტრშეტევა განავითარა და დარასელიამ გახსნა ანგარიში. შემდგომში ხუბუნაიამ მეორე ბურთიც გაიტანა „სულორის" კარში და მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი.

● „აერო" (გალი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

თამაში არ გამოდგა საინტერესო, ვინაიდან ორივე გუნდის მოთამაშეები არაორგანიზებულად მოქმედებდნენ და უხეიროდ ასრულებდნენ გადაცემებს. გალელი ჭკუასელის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

● „არაგვი" (მცხეთა) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

არმიელებმა დასაწყისიდანვე მიაღწიეს საერთო უპირატესობას, თუმცა თავდამსხმელთა უუნარობის გამო მას შედეგი არ მოუცია. მხოლოდ 76-ე წუთზე შეძლო არმიელმა ცირეკიძემ გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:1. მსაჯი გ. გელაშვილი (თბილისი).

● „ისანი" (თბილისი) — „სამცხე" (აწყური) 1:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

● „ლაითური" (მახარაძე) — „გარეჯი" (საგარეჯო) 3:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

მახარაძელებმა პირველი ტაიმი მოიგეს ანგარიშით 1:0 (შუმაკოვი). შემდგომში მათი უპირატესობა უფრო აშკარა შეიქნა, თუმცა „გარეჯის" დამარცხება დიდი ანგარიშით მეკარის სუსტი თამაშის შედეგიცაა. 2 ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა გაგუამ.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

მეტოქეები მთელი მატჩის მანძილზე მოქმედებდნენ სწრაფად, ენერგიულად, ამიტომ თამაში სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. სახიფათო მომენტები მრავლად იქმნებოდა ორივე კართან, თუმცა არც ერთ მათგანს შედეგი არ მოუცია.

● სიღნაღის „მშენებლის" გამარჯვება ჩაითვალა ... „ნარინჯთან" შეხვედრაში.

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„სამგორი" (გარდაბანი) — „ვაზისუბანი" (გურჯაანი) 5:0, „ელმავალმშენი" (თბილისი) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 0:0, „განთიადი" (კასპი) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 0:0, „თრიალეთი" (წალკა) — „არაგვი" (დუშეთი) 2:1, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „შირაქი" (წითელწყარო) 2:0.

### II ზონა

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „რიწა" (გუდაუთა) 10:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 3:0, „განთიადი" (ტყიბული) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:2, „დინამო" (ოჩამჩირე) — „მშენებელი" (ჭიათურა) 4:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 4:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) 2:2, „განთიადი" (აბაშა) — „განახლება" (ადიგენი) 1:1, „იმერეთი" (თერჯოლა) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1.

## სსრ კავშირის პირველობა

### „ა" კლასი I ჯგუფი

#### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 7 | 6 | 0 | 1 | 19—4 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 6 | 0 | 0 | 11—1 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 5 | 0 | 2 | 10—4 | 12 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 6 | 4 | 1 | 1 | 9—3 | 9 |
| „დინამო" (მინსკი) | 6 | 4 | 0 | 2 | 8—4 | 8 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 6 | 4 | 0 | 2 | 9—6 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 6 | 3 | 2 | 1 | 6—3 | 8 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 7 | 4 | 0 | 3 | 11—11 | 8 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 2 | 3 | 2 | 9—6 | 7 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 6 | 3 | 1 | 2 | 9—10 | 7 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 7 | 3 | 1 | 3 | 9—12 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 6 | 3 | 0 | 3 | 13—11 | 6 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 7 | 3 | 0 | 4 | 5—9 | 6 |
| „არარატი" (ერევანი) | 6 | 2 | 1 | 3 | 10—14 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—8 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 0 | 3 | 3 | 6—9 | 3 |
| ცსკა | 6 | 0 | 3 | 3 | 2—6 | 3 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 7 | 1 | 1 | 5 | 6—16 | 3 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 6 | 1 | 0 | 5 | 5—15 | 2 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 7 | 0 | 1 | 6 | 3—14 | 1 |

### „ა" კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მახაჩყალა) | 6 | 3 | 3 | 0 | 4—0 | 9 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 6 | 4 | 1 | 1 | 8—5 | 9 |
| „თერგი" (გროზნო) | 5 | 3 | 2 | 0 | 5—1 | 8 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—5 | 8 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 5—3 | 8 |
| „დინამო" (ბათუმი) | 6 | 2 | 3 | 1 | 6—5 | 7 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 6 | 2 | 3 | 1 | 5—4 | 7 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 6 | 3 | 0 | 3 | 10—5 | 6 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 6 | 1 | 4 | 1 | 7—6 | 6 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—3 | 6 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 5 | 1 | 3 | 1 | 2—2 | 5 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 6 | 2 | 1 | 3 | 3—4 | 5 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—8 | 5 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 6 | 2 | 0 | 4 | 10—9 | 4 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—6 | 4 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 5 | 2 | 0 | 3 | 2—3 | 4 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 6 | 0 | 4 | 2 | 1—4 | 4 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 6 | 0 | 4 | 2 | 1—6 | 4 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—13 | 4 |
| „ვოლგა" (გორკი) | 5 | 0 | 3 | 2 | 2—5 | 3 |
| „სტროიტელი" (უფა) | 6 | 0 | 3 | 3 | 3—9 | 3 |

### „ბ" კლასი

5 მაისს შედგა მორიგი ტურის მატჩები რსფსრ-ს ზონებში. მოგვყავს ამ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები.

III ზონა. „არაზი" (ნახიჭევანი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:2, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0, „სპარტაკი" (ორიოლი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 1:1, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) 2:1, „ხიმიკი" (ნევინომისკი) — „უროჟაი" (სვეტლოგრადი) 1:0, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „ურალანი" (ელისტა) 2:1, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „ტორპედო" (არმავირი) 0:0.

IV ზონა: „სევანი" (ოქტემბერიანი) — „ლორი" (კიროვაკანი) 1:1, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0, „არაქსი" (ეჩმიაძინი) — „მაღართელი" (ჭიათურა) 2:1, „ტრუდი" (კასპიისკი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — „ირისთონი" (მოზდოკი) 2:1, „უროჟაი" (კრიმსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:2, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1.



ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი თბილისისა და კიროვაბადის დინამოელთა ამასწინანდელი მატჩიდან. კიროვაბადელთა ერთ-ერთი შეტევისას თბილისის „დინამოს" მცველს ვ. რეხვიაშვილს ძნელ მდგომარეობაში უხდება ბურთის მოგერიება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მოზარდთა ტურნირი

გრძელდება ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი. მოგვყავს განვლილი ტურების ტექნიკური შედეგები:

### I ზონა

„კახეთი" (თელავი) — „დინამო" (თბილისი) 0:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 1:3, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:3, „დილა" (გორი) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 0:2, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:3.

განათლების განყოფილება (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:0, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „შრომითი რეზერვები" (თბილისი) 0:0, „დინამო" (თბილისი) — „ქარიშხალა" (თბილისი) 3:0. თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ცხინვალის „სპარტაკთან", ხოლო თბილისის „ლოკომოტივს" — გორის „დილასთან".

### II ზონა

„ტორპედო" (ქუთაისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:0, „დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:3, „კოლხეთი" (ფოთი) — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (გაგრა) 0:1, „ენგური" (ზუგდიდი) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:0.

„დინამო" (ბათუმი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (სოხუმი) 2:2, „შუქურა" (ქობულეთი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:1. გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ტყიბულის „მეშახტესთან".

## პირუტყვის სათარეშო

ლელო კრიტიკული

სოფელ გორისის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე პ. დონაძე) ფეხბურთის კარგი მინდორი აქვს, მაგრამ მის შემოღობვას საშველი არ დაადგა და დღეს იგი პირუტყვის სათარეშოდაა ქცეული. კოლმეურნეობის გამგეობამ საქმეს დროულად უნდა მიხედოს.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სიჩხერის რაიონი.

## მოტოციკლისტთა სტარტები

12 საბჭოთა მოტომრბოლელიდან, რომლებმაც სპიდვეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპის სტარტი აიღეს, 8 შეჯიბრებას განაგრძობს. განსაკუთრებით წარმატებით იასპარეზეს აბენსბერგში (გფრ) — სამივე საბჭოთა სპორტსმენი ნახევარფინალში გავიდა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ი. პლეხანოვმა (უფა) I ადგილი დაიკავა, მისმა თანაქალაქელმა ჰ. კადიროვმა — V, ხოლო ბალაკოველმა ბ. ცეხანოვიჩმა — VIII.

იუგოსლავიის ქალაქ სვეტოზაროვოში ყველას აჯობა უფელმა გ. კურილენკომ. ამ ქალაქის მეორე წარმომადგენელი ი. ჩეკრანოვი III ადგილზე აღმოჩნდა.

მაისენში (გდრ) კვლავ უფელმა სპორტსმენმა ისახელა თავი: ესაა I ადგილზე გასული ბ. სამოროდოვი.

მიშკოლცში (უნგრეთი) საწადელს მიაღწიეს III პრიზიორმა ვ. ტროფიმოვმა (როვნო) და VI ადგილზე გასულმა ლენინგრადელმა ვ. სმირნოვმა.

* * *

ჩეხოსლოვაკიის ტრასაზე გაიმართა „250-ანების" მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი. I ადგილი დაიკავა შვედმა მოტოკროსმენმა ჰ. ანდერსონმა, II ადგილზეა ბელგიელი ჟ. რობერი, ხოლო III — მოსკოველი ვ. არბეკოვი.

## ლომაია — ერთპიროვნული ლიდერი

ლომაიას საჭადრაკო XXIX

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია — 9 ქულა, რ. ჯინჯიხაშვილი — 8,5, ბ. გურგენიძე, ა. ბოკუჩავა — 8-8, ზ. მიქაძე — 7,5 (1), ე. უბილავა — 7.

XI ტური. თ. გიორგაძე — ბოკუჩავა 0:1, შ. თოთლაძე (გორი) — ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) 0:1, თ. დეკანოზიშვილი — ს. მეგრელიშვილი 1:0, მ. არჩვაძე (სამტრედია) — გ. მუკნიაშვილი (გორი) 0:1, გ. კალატოზიშვილი — უბილავა 0:1, ა. წერეთელი — ჯინჯიხაშვილი 0:1, გურგენიძე — ლომაია 0:1.

რა თქმა უნდა, ამ დღეს დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერთა „დუეტის" — გურგენიძისა და ლომაიას შეხვედრა. ესპანურ პარტიაში გურგენიძემ (თეთრებით) თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა. ლომაიას მეფე უროქოდ დარჩა, ხოლო ცენტრში ხაზის გახსნის შემდეგ შავები რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. მალე გურგენიძემ მოსაფიქრებელი დროის ნაკლებობა იგრძნო, ცაიტნოტში ვეღარ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება და 35-ე სვლაზე საათზე ალამი ჩამოუვარდა.

ჩვეული ოსტატობით ითამაშა ჯინჯიხაშვილმა. ენდშპილში, რომლისკენაც იგი თავიდან მიილტვოდა, წერეთელმა ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და 55-ე სვლაზე დანებდა.

საოცრად მალე დამარცხდნენ კალატოზიშვილი და გიორგაძე: პირველი 15, მეორე — 17 სვლაში. ორივემ უხეშად წააგო ფიგურა პოზიციაში, სადაც ბრძოლა მხოლოდ უნდა დაწყებულიყო. ოსტატებს ნამდვილად არ ეპატიებათ ამგვარი შეცდომა.

გათამაშების მიწურულს უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ლიდერთა აგრესიული განწყობილება. სწორედ ამიტომ კიდევ მეტ ინტერესს იწვევს მათი შეხვედრები: გურგენიძისა — ჯინჯიხაშვილთან (XIII ტური), ამ უკანასკნელისა კი — მიქაძესა (XII ტური) და ლომაიასთან (XIV ტური).

თ. გიორგაძე.

საქართველოს პირველობა რეგბიში

# ვინ იქნება პრიზიორი?

საქართველოს რეგბისტთა პირველობაში გუნდების ძალას საერთო საზომით ვერ გაზომავ. გადაჭრით იმის თქმაც ძნელია, ვინაა ყველაზე ძლიერი, საშუალო ან სუსტი. საქმე ისაა, რომ ყოველ მათგანს შესაფერი მეტოქე ჰყავს: „დინამოს“ ჩემპიონობას ეცილება „ლოკომოტივი“; III ადგილისთვის იბრძვიან უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივები; ქუთაისელ და განთიადელ რეგბისტებს საპრეტენზიო არაფერი აქვთ — მათი ამოცანა გამოცდილების მიღება და ბოლო ადგილის თავიდან აცილებაა.

თბილისში მიმდინარე ასპარეზობა საცაა ფინიშს მიუახლოვდება, მაგრამ საპრიზო სამეულის შანსები ჯერ კიდევ არაა გარკვეული, რადგან ერთის მხრივ — „დინამომ“ და „ლოკომოტივმა“, ხოლო მეორეს მხრივ — უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა ერთმანეთში ფრედ ითამაშეს. ამ წყვილებში ერთ-ერთის გამარჯვება ადრევე გაარკვევდა პრიზიორთა ვინაობას.

„დინამო“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრის შედეგზე უკვე ვწერდით. მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იყო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტთა მატჩი. მომავალ ინჟინრებს უპირატესობის რწმენა ჰქონდათ, მაგრამ ტაიმი ლამის უშედეგოდ მიიწურა. მათ მხოლოდ 39-ე წუთზე მოახერხეს მეტოქის ჩასათვლელ მოედანზე ბურთის დადება და პირველი 3 ქულა მოიპოვეს, გ. ნიკოლაძემ კი რეალიზაციის გამოყენება ვერ შეძლო.

მეორე ტაიმის მე-15 წუთზე იმავე პოზიციიდან ქ. ისაევმა ანგარიში ექვსამდე გაზარდა. ამჯერად ნიკოლაძის რეალიზაციაც ზუსტი გამოდგა და გუნდი 8 ქულით დაწინაურდა. ეს იყო და ეს: მეტი ქულა მას აღარ მიუღია.

უნივერსიტეტელები შეხვედრის ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდნენ. მათმა მონდომებამ ნაყოფი 66-ე წუთზე გამოიღო: ი. გელოვანმა კარგად ისარგებლა მცველთა შეცდომით და ბურთით ხელში ჩასათვლელ მოედანზე აღმოჩნდა. ი. ჯალალაშვილმაც უნაკლოდ შეასრულა რეალიზაცია და მეტოქის 8 ქულას 5 დაუპირისპირდა. შეხვედრა მთავრდებოდა, როცა გარღვევაზე გასულმა გ. ხვედელიძემ ჯალალაშვილის ზუსტი გადაცემა მიიღო. ხვედელიძემ ჩასათვლელ მოედანზე 3 ქულა აიღო — 8:8. მასვე შეეძლო გამარჯვება მოეტანა გუნდისთვის, მაგრამ რეალიზაცია უნაყოფო გამოდგა.

ამ ტურში „დინამომ“ იოლად სძლია „განთიადს“ — 49:3, „ლოკომოტივმა“ დაამარცხა ქუთაისელები — 48:8.

თ. გაჩეჩილაძე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | 3 | 2 | 1 | 0 | 94:9 | 5 |
| „ლოკომოტივი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 79:17 | 5 |
| სპი | 3 | 1 | 1 | 1 | 46:42 | 3 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 39:53 | 3 |
| ქუთაისი | 2 | 0 | 0 | 2 | 14:80 | 0 |
| „განთიადი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 6:77 | 0 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა ქუთაისისა და „განთიადის“ პირველი ტურის შეხვედრის შედეგი. ქუთაისელთა პროტესტი დააკმაყოფილეს და ეს გუნდები ხელმეორედ ითამაშებენ.

# სხვადასხვა ამბები

● ბეტებორგი, 6 მაისი. შვეციის ამ ქალაქში ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა აქაური დურგალი, 28 წლის ბო იუჰანსონი. ქვემძიმე წონაში იგი მსოფლიოში მეორე ათლეტი გახდა, რომელმაც კლასიკურ სამჭიდში 500 კგ (167,5+145+187,5) დააგროვა. ეს მიღწევა 10 კილოგრამით ჩამორჩება საბჭოთა ძალოსან ი. ტალტსის მიერ ამას წინათ დუბნაში ნაჩვენებ შედეგს. 1967 წლის შემოდგომიდან შვედმა 34-ჯერ გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი. იუჰანსონს ნათქვამი აქვს, რომ მეხიკოდან მედლით ჩამოსვლას აპირებს. ჯერჯერობით მისი სიტყვა და საქმე ერთ წერტილში ურტყამს.

● ბუდაპეშტი, 6 მაისი. ესპადრონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გუნდური გათამაშების შემდეგ დაიწყო პირადი ტურნირი უნგრეთის ფედერაციის პრიზზე. დიდი წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები: ფინალის მონაწილე 8 სპორტსმენიდან 6 უნგრელი იყო. გაიმარჯვა უნგრელმა კოვაჩმა. II ადგილზეა მისი თანამემამულე კალმარი, III ადგილი კი წილად ხვდა ლენინგრადელ ვინოკუროვს.

● სოფია, 6 მაისი. აქაური გაზეთის „სტუდენტსკა ტრიბუნას“ თასის გათამაშებაში ასპარეზობდა ბულგარეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მხატვრული ტანვარჯიშის 14 ოსტატი. თასი მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელმა, ბულგარელმა მ. გიგოვამ, რომელიც პირველი იყო უსაგნოდ (9,90) და საგნით (19,65) ვარჯიშში. II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი უსაგნოდ ვარჯიშში, კიეველი ლ. სერედა — 29,20. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ე. კარპუხინა (მოსკოვის ოლქი) მეოთხე იყო — 29,05.

● კოპენჰაგენი, 6 მაისი. დანიელ ცხენოსნებს ეწვივნენ საბჭოთა მხედრები. საინტერესო გამოდგა 2500 მეტრზე დოღი. სამივე საპრიზო ადგილზე საბჭოთა მხედრები გავიდნენ: გაიმარჯვა მ. ფინგეროვმა — 3.23,2. II ადგილზეა ა. კრეიდინი, III — ე. კალალა.

● ვაშინგტონი, 6 მაისი. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 23 წლის ამერიკელი ძალოსანი რ. ბედნარსკი (მძიმე წონა) მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა აჭიმვაში — 204,5 კგ. ხუთი წლის მანძილზე მსოფლიო რეკორდებს საბჭოთა ათლეტები ფლობდნენ და ახლაც ოფიციალური მიღწევები სამჭიდის ყოველ სახეობაში ლ. ჟაბოტინსკის ეკუთვნის. წლეულს კი აჭიმვაში მისი რეკორდი (201,5 კგ) სამჯერ გააუმჯობესდა ამერიკელთა მიერ: ჯერ ჯ. პიკეტმა აჩვენა 202 კგ, შემდეგ ჟ. დიუბმა — 203 კგ, შაბათს კი აქ გამართულ შეჯიბრებაში ბედნარსკიმ კილოგრამნახევარი წაუმატა დიუბის შედეგს.

## ფლემინგი და დანცერი...

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ჩემპიონები ფიგურულ ციგურაობაში — ამერიკელი პეგი ფლემინგი და ავსტრიელი ემერიჰ დანცერი პროფესიონალებში გადავიდნენ.

დანცერი, რომელმაც ხელი მოაწერა კონტრაქტს „ვინერ აის-რევიუსთან“, ამჟამად თავის სადებიუტო პროგრამას ამზადებს. როგორც პროფესიონალი, იგი პირველად ვენელი მაყურებლების წინაშე წარსდგება ივლისში, შემდეგ კი ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეში გაემგზავრება. „ვინერ აის-რევიუს“ ახალ პროგრამაში დანცერს თვალსაჩინო ადგილი ეთმობა.

ამერიკის შეერთებული შტატების სატელევიზიო გაერთიანებამ ნბს-მ გამოაცხადა, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ფლემინგი ამიერიდან მისი თანამშრომელი გახდა. ფლემინგი დროგამოშვებით ტელემაყურებლების წინაშე წარსდგება საკუთარი პროგრამით, რომელსაც ახლა იგი მისთვის ჩვეული სიბეჯითით ამუშავებს. გარდა ამისა, ფლემინგი მონაწილეობას მიიღებს სატელევიზიო ფილმებში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები: მატჩები, ლიდერები

### ესპანეთი

მიიწურა ქვეყნის პირველობა. ბოლო, XXX ტურში მადრიდის „რეალმა“ გასვლითი მატჩი წააგო „მალაგასთან“ (0:1), მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული. ჩემპიონმა 16 შეხვედრა მოიგო, 10 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 4 წააგო. „რეალმა“ ყველაზე ნაკლები გოლი (26) გაუშვა, ხოლო მეტოქეთა კარში 55 ბურთი გაიტანა. ამ მხრივ „რეალი“ მხოლოდ ბილბაოს „ატლეტიკოს“ (57 გოლი) ჩამორჩა.

ჩემპიონის კარს იცავენ ხუნკერა და ბეტანკორი. დაცვაში თამაშობენ გონსალესი, სუნსუნეგი, სანჩისი, კალპე. ნახევარდაცვაში „რეალს“ პირველხარისხოვანი მოთამაშეები (სოკო, პირი, ველასკესი) ჰყავს, ხოლო თავდასხმაში — ცნობილი ოსტატები: ჰენტო, ამანსიო, გროსო, ველოსო, სერენა. უკანასკნელ ხანს მწვრთნელმა მუნიოსმა რამდენიმე ნიჭიერი თავდამსხმელი „რეალის“ ჭაბუკთა გუნდიდან ძირითად შემადგენლობაში დაამკვიდრა. ესენი არიან: დე დიეგო, ხოსე ლუისი, პერესი.

ბოლო ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგებია: „რეალ-სარაგოსა“ — „ელჩე“ 3:1, „კორდოვა“ — „ესპანიოლი“ 2:1, „სევილია“ — „პონტევედრა“ 2:2, მადრიდის „ატლეტიკო“ — „ბეტისი“ 0:0, „რეალ სოსიედადი“ — „ბარსელონა“ 1:1, ბილბაოს „ატლეტიკო“ — „საბადელი“ 1:1.

მხოლოდ „ლას-პალმასსა“ და „ვალენსიას“ აქვთ ჩასატარებელი 1 მატჩი.

აი, პირველი ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 30 | 55:26 | 42 |
| „ბარსელონა“ | 30 | 48:29 | 39 |
| „ლას-პალმასი“ | 29 | 54:28 | 36 |
| „ვალენსია“ | 29 | 51:36 | 34 |
| „რეალ-სარაგოსა“ | 30 | 43:34 | 33 |

პირველი ლიგა დატოვეს სევილიის გუნდებმა: „ბეტისმა“ და „სევილიამ“, ხოლო მათი ადგილები „ლა კორუნიამ“ და „გრანადამ“ დაიკავეს.

### საფრანგეთი

ჩემპიონმა და ლიდერმა „სენტ-ეტიენმა“ შინ მოუგო „სედანს“ — 2:1.

დანარჩენი შედეგებია: „ნანტი“ — „აიაჩო“ 1:0, „რუანი“ — „ვალანსიენი“ 2:0, „რენი“ — „სოშო“ 2:0, „მონაკო“ — „ლანი“ 2:1, „ბორდო“ — „ოლიმპიკი“ (ლიონი) 0:0, „ნიცა“ — „ექსი“ 1:0, „ოლიმპიკი“ (მარსელი) — „მეცი“ 2:0.

აი, ლიდერებიც:

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი“ | 30 | 58:26 | 44 |
| „ოლიმპ.“ (მარსელი) | 30 | 40:36 | 35 |
| „ნანტი“ | 30 | 46:38 | 34 |

### პოლონეთი

გათამაშების XX ტური სამივე ლიდერის გამარჯვებით აღინიშნა: ხოჟუვის „რუხმა“ მოუგო ვარშავის „გვარდიას“ — 6:2, ვარშავის „ლეგიამ“ დაამარცხა ვროცლავის „შლენსკი“ — 1:0, ხოლო ქვეყნის ჩემპიონმა, ზაბჟეს „გურნიკმა“ — კატოვიცეს გკს — 3:1.

### ბელგია

ჩემპიონატის ფინიშამდე მხოლოდ 3 ტური დარჩა. ქვეყნის ჩემპიონი — ბრიუსელის „ანდერლეხტი“ კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. მორიგ ტურში მან შინ მოუგო „შარლერუას“ — 4:1. თასის მფლობელმა — ლიეჟის „სტანდარდმა“ ასევე შინ სძლია „ბევერენს“ — 3:0.

აი, ლიდერებიც:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 27 | 65:22 | 43 |
| „ფკ ბრიუჟი“ | 27 | 47:19 | 39 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 27 | 51:29 | 37 |

## დღეს მადრიდში

ინგლისის ეროვნულ გუნდს დღეს მადრიდში მეტად შეუპოვარი მატჩი ელის ესპანეთის ნაკრებთან. ევროპის პირველობის ეს საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი გადაწყვეტს, ვინ გავა ნახევარფინალში, ინგლისელებს კი მხოლოდ 1 გოლის უპირატესობა აქვთ. მათმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ გუნდში მხოლოდ ორი ცვლილება შეიტანა: დაშავებული სტაილსის ადგილი ლებონმა დაიკავა, ხოლო თავდასხმაში „მანჩესტერ-სიტის“ ფორვარდის სამერბის მაგიერ ან ჰერსტი ითამაშებს, ან სამერბის თანაგუნდელი, ახალგაზრდა ბელი. მეკარე ბენქსი ერთი კვირა ავად იყო და შესაძლოა მის მაგიერ ბონეტი გამოვიდეს.

ბრიტანული პრესა აღნიშნავს, მსოფლიო ჩემპიონებს ძალიან სერიოზული გამოცდა ელით, მაგრამ ისინი მაინც გავლენ ნახევარფინალშიო.

## დი სტეფანო — ნაკრების მწვრთნელი?

მადრიდის „რეალის“ წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ა. დი სტეფანო შარშან ესპანეთის „ელჩეს“ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ გუნდის საქმე ისე ცუდად წავიდა, რომ დი სტეფანო იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. სპორტული პრესა წერდა, დი სტეფანოს, როგორც მწვრთნელის კარიერა ამით დამთავრდაო, მაგრამ იტალიური „პაეზე სერას“ ცნობით, ცნობილ ფეხბურთელს ახლა ნაკრების (!) მწვრთნელობას სთავაზობენ. კიდევ მეტი: მას შესთავაზეს არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიც.

დი სტეფანო არგენტინელია, მაგრამ თავისი „ოქროს წლები“ ესპანეთში გაატარა. როგორც „პაეზე სერა“ შენიშნავს, ყველაფერი დამოკიდებულია ესპანელთა წარმატებაზე ევროპის ჩემპიონატის მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისელებთან. თუ ესპანეთი ნახევარფინალში გავა, მისი გუნდის მწვრთნელის დ. ბალმანიას ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, დი სტეფანოს კი არგენტინაში წასვლა მოუწევს. მაგრამ თუ ესპანელები დამარცხდნენ, დი სტეფანო მათი ნაკრების მწვრთნელის სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

## საერთაშორისო ტურნირი ნიუ-იორკში

ორწლიანი პაუზის შემდეგ წლეულს კვლავ გაიმართება საერთაშორისო ტურნირი ნიუ-იორკში, რომელსაც ცნობილი საქმოსანი კოქსი აწყობს.

შეჯიბრებაში ჩაებმებიან „მანჩესტერ-სიტი“ (ინგლისი), დორტმუნდის „ბორუსია“ (გფრ), „დანფერმლაინი“ (შოტლანდია), ხოჟუვის „რუხი“ (პოლონეთი) და აშშ-ს ლიგის რამდენიმე საუკეთესო გუნდი.



ბალიპორინის (ირლანდია) მკვიდრმა, 33 წლის მაიკ მინიმ გადაწყვიტა თავისებური გზით მოიხვეჭოს პოპულარობა. მან 55 დღე დაჰყო 8 მეტრის სიღრმეზე ჩაფლულ კუბოში და ამით ახალი „მსოფლიო რეკორდი“ დაამყარა. უნდა შევნიშნოთ, რომ კუბო საკმაოდ კომფორტაბელური იყო: „რეკორდსმენს“ საგანგებო მილით აწვდიდნენ წყალსა და საჭმელს, კუბოში გაყვანილი გახლდათ ელექტროსინათლეც, რათა მაიკს წიგნებისა და გაზეთების კითხვა არ გასჭირვებოდა. ირლანდიელს ჰქონდა ფოტოაპარატიც, რომლითაც გადაიღო საკუთარი თავი კუბოში.

ფოტო აპ—ააპ-ისა.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03280